პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №19

ქ. თბილისი

13.11.2019

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

თამარ ქიტიაშვილი - გაეროს განვითარების პროგრამის მრჩეველი პროფესიული განათლების საკითხებში, საბჭოს თავმჯდომარე (შემდგომში - თავმჯდომარე);
ლელა მაისურაძე - პროფესიული განათლების დამოუკიდებელი კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
ნანა ყუფუნია - სსიპ - აწარმოე საქართველოში, ადამიანური რესურსების მართვის კონსულტანტი;
ანასტასია ქიტიაშვილი - სსიპ - ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA – Georgia) პროექტის ,,პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის" პროფესიული განათლების ექსპერტი;
ნინო ჩიქოვანი - ა(ა)იპ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი;
გიორგი ტრაპაიძე - სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი;
ანა საბახტარიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;
ვახტანგ ჭარაია - ა(ა)იპ - საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

კახაბერ ერაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
თამარ გულედანი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერის სპეციალისტი;
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაცია-აკრედიტაციის საბჭოების კოორდინაციის სპეციალისტი;
ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯი
ნავოლის ქობულია - დირექტორი
ჰენრიხ ყარაშვილი - დირექტორის მოადგილე

სსიპ - კოლეჯი იბერია
ირაკლი ავალიანი - დირექტორი
დარეჯან ლოსაბერიძე - ხარისხის მართვის სისტემის მენეჯერი

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“
რაინდი ლომაია - დირექტორი
ტარიელ ლომაია - ხარისხის სამსახურის თანამშრომელი
ავთანდილ ჭანკვეტაძე - ხარისხის სამსახურის თანამშრომელი

შპს არსი
ნათია ნოზაძე - დირექტორი

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Natali Academy
ნატალია თოლორაია - დირექტორი
მანანა მახარაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი
სალომე ოსიშვილი - საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

შორენა ჯაფარიძე
ქეთევან გელაშვილი
პაატა ცაგარეიშილი
დავით კუპატაძე
ნანა ბარნაბიშვილი
ია გიგიბერია
ნანა შარაბიძე
ნაზო წიბლიაშვილი
ეკატერინე პატიეშვილი
ალინა კუპრავა
თამთა კვინიკაძე

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:20 საათზე.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა, ლანა გაჩეჩილაძემ განაცხადა, რომ თუ დამსწრე საზოგადოება წინააღმდეგი არ იქნებოდა, საბჭოს სხდომის ოქმის პროექტის მოსამზადებლად მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩანაწერის მომზადება და ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სხდომის აუდიო ჩაწერა, ვიდეო ან ფოტოგადაღება ან პირდაპირი ტრანსლირება დაუშვებელია სხდომის მონაწილეთა წინასწარი თანხმობის გარეშე.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივ კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

2. სსიპ - კოლეჯი „იბერიისთვის" ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „ელექტროობის" საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

3. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონისთვის" ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „ბუღალტრული აღრიცხვისა" და „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის" საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

4. შპს არსში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

5. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Natali Academy-ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Natali Academy-ს წარმომადგენლებმა საბჭოს წევრებს თხოვნით მიმართეს, რომ კოლეჯის ავტორიზაციის საკითხმა დღის წესრიგში მე-5 ადგილის მაგივრად გადაინაცვლოს მე-2 ადგილზე. კახაბერ ერაძემ საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ მოხდა შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო

საინჟინრო სასწავლებელი ანრის მისამართის ცვლილება და ასევე შესაცვლელია დაწესებულების ორი საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია და კოდი, ამიტომ საბჭოს წევრებს მიმართა თხოვნით, დღის წესრიგს დაემატოს შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 სექტემბრის №60 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი. გარდა ამისა, ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონის" მისამართია ტექნიკურად გასასწორებელი და საბჭოს სთხოვა, დღის წესრიგს დაემატოს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 29 სექტემბრის №63 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხიც.

საბჭოს წევრები დაეთანხმნენ დღის წესრიგში ცვლილებას და საბჭომ ერთხმად დაამტკიცა შეცვლილი დღის წესრიგი:

1. შპს წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივ კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

2. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Natali Academy-ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - კოლეჯი „იბერიისთვის" ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „ელექტროობის" საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

4. შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 სექტემბრის №60 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

5. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონისთვის" ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „ბუღალტრული აღრიცხვისა" და „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის" საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

6. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 29 სექტემბრის №63 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

7. შპს არსში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

8. შპს არსის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 29 სექტემბრის №61 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

9. შპს არსისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 11 დეკემბრის №191 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა.

1. შპს წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივ კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა, თავი წარედგინათ საბჭოს წევრებისთვის. საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ დამფუძნებელი და დირექტორი ნავოლის ქობულია და დირექტორის მოადგილე ჰენრიხ ყარაშვილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - შორენა ჯაფარიძემ და ქეთევან გელაშვილმა. ექპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, შორენა ჯაფარიძემ, საბჭოს წარუდგინა პრეზენტაცია ფოტომასალით. განხილვის დასაწყისში ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 3 და 4 სექტემბერს. ეს იყო გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი, რომლის მიზანიც იყო ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6, მე-7 და მე-8 მუხლებით გათვალისიწინებულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

შორენა ჯაფარიძემ განაცხადა, რომ შპს წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივ კოლეჯს 2016 წლის 8 ივლისს მიენიჭა ავტორიზაცია და პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი შვიდი საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება, ხოლო პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 150, თუმცა სტუდენტები აღარ ჰყავთ და საგნობრივი პროგრამების განხორციელება დასრულებულია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით, კოლეჯის დამფუძნებლები და ადმინისტრაცია ძალიან პატივსაცემი ადამიანები არიან, ვიზიტი ექსპერტების მხრიდან კეთილგანწყობილად წარიმართა, ბევრი რჩევებიც მიეცა დაწესებულებას. ამავე დროს, ვიზიტის დროს მიმდინარეობდა რემონტი, რიგი დოკუმენტაცია დაწესებულებამ ამის გამო ვერ წარმოადგინა, მაგრამ ექსპერტები მოქმედებდნენ ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებით და ლოალურები ვერ იქნებოდნენ, აღწერეს და შეაფასეს რეალური მდგომარეობა, ვიზიტის დროს შესაბამისი აქტივობების განხორციელებისა და შეფასების შედეგად, გამოვლინდა ცხრა ხარვეზი, რომლებიც ვიზიტის დასასრულს ექსპერტებმა გააცნეს დაწესებულებას. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა, რომ ხარვეზების იდენტიფიცირება ეყრდნობოდა დასკვნაში თითოეული ქვესტანდარტის ვრცელ აღწერას, ექსპერტთა მხრიდან ანალიზსა და დასაბუთებას. აღინიშნა, რომ დოკუმენტები ხარისხიანად იყო მომზადებული, მაგრამ რეგულაციების შესრულების მდგომარეობაში იყო ხარვეზები.

ქვესტანდარტი 1.4

დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, ასევე მიღებული განათლების აღიარების პროცედურების განხორციელებისას, პროფესიული სტუდენტების შესახებ საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში მონაცემების შეტანა ხდება წესების დარღვევით, კერძოდ, დარღვეულია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისი №127/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესი" (მუხლი 4, პუნქტი 2), და დაწესებულების დირექტორის 2017 წლის 8 მაისის №01/009 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი", დაწესებულებისგან მიღებული ინფორმაციით, ყველა პროგრამაზე სწავლა დასრულებული იყო და სტუდენტებს უკვე მინიჭებული ჰქონდათ კვალიფიკაცია, როცა ექსპერტებმა ამ ინფორმაციის გადამოწმების მიზნით მოითხოვეს რეესტრის მონაცემების შემოწმება, დაწესებულებამ ეს ვერ უზრუნველყო, რადგან რეესტრის წარმომადგენელი ადგილზე არ იყო.

ნანა ყუფუნია დაინტერესდა, რას ნიშნავდა, რომ რეესტრის წარმომადგენელი არ იყო, საპასუხოდ განმარტება მოითხოვა კოლეჯის დირექტორის მოადგილემ, თუმცა საბჭოს თავმჯდომარემ მას განუმარტა, რომ საბჭო ჯერ კითხვებს აძლევს ექსპერტებს და ისმენს ექსპერტთა დასაბუთებებს და ამის შემდეგ დაწესებულებას მიეცემა შესაძლებლობა თავისი არგუმენტები გამოთქვას.

როგორც შორენა ჯაფარიძემ განაცხადა, ექსპერტთა ჯგუფმა, რაკი ვიზიტის პირველ დღეს, 3 სექტემბერს, დაწესებულებისგან ვერ მიიღო რეესტრზე წვდომა, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საშუალებით ემისიდან გამოითხოვა რეესტრის მონაცემები და აღმოჩნდა, რომ კოლეჯის რეესტრში ჯერ კიდევ არსებობდნენ აქტიური სტუდენტები, თუმცა მეორე დღეს, 4 სექტემბერს, როცა დაწესებულებამ მათ წვდომა მისცა, სურათი შეცვლილი იყო, უკვე აღარ იყვნენ აქტიური სტუდენტები, 4 სტუდენტი იყო სტატუსშეჩერებული. დადგენილი რეგულაციების მიხედვით რეესტრში 5 დღეში უნდა აისახოს სტუდენტთა სტატუსის ცვლილების თაობაზე ინფორმაცია, ფაქტია, დაწესებულება დროულად არ ასახავს ინფორმაციას, ასევე, დირექტორის 2018 წლის 8 ოქტომბრის №02/007 ბრძანებით 2018-2019 სასწავლო წელს ჩარიცხული ერთი პროფესიული სტუდენტი საერთოდ არ არის დაფიქსირებული რეესტრში არანაირი სტატუსით. დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა, წარმოედგინათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტები, თუმცა ესეც ვერ მოხერხდა წარმოადგინეს მხოლოდ კომისიის ბრძანება, მაგრამ კვალიფიკაციის მინიჭების დოკუმენტაცია არ იქნა წარმოდგენილი. საბჭოს თავმჯდომარემ მოითხოვა დაზუსტება, როდის იყო რეესტრში ბოლოს ინფორმაცია განახლებული, რაზეც მიიღო პასუხი, რომ რეესტრში ინფორმაციის ბოლო განახლება დაახლოებით ერთი წლის წინ იყო განხორციელებული. დაწესებულების დირექტორის მოადგილემ საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია, რომ სწავლა ივლისში დამთავრდა, დაიბეჭდა დიპლომები, გაცემას ბევრი ხალხი არ სჭირდებოდა, ამიტომ, რადგან სწავლა დასრულებული იყო და რემონტი მიმდინარეობდა, კოლეჯის ფინანსური მდგომარეობაც კრიზისული იყო, უხელფასო შვებულებაში იყვნენ თანამშრომლები გაშვებულნი. კოლეჯს ბოლო პერიოდში ფორსმაჟორში უწევდა ფუნქციონირება, შენობის მეპატრონემ წამოიწყო რემონტი, რაც, თავისთავად, კარგი იყო, მაგრამ რემონტის დროს მუშებმა დაწესებულების ადმინისტრაციასთან შეუთანხმებლად, თვითნებურად ჩაყარეს დიდ ტომრებში წიგნადი ფონდი და დოკუმენტაცია, რომელიც სხვადასხვა აუდიტორიაში იყო განლაგებული, და განათავსეს ერთ ოთახში, რომელიც იკეტებოდა. გარდა ამისა, ჩაკეტილი იყო სამი ოთახი, მათ შორის ბიბლიოთეკა, რადგან ამ ოთახებში რემონტისთვის საჭირო სამშენებლო მასალები და ინსტრუმენტები ინახებოდა და ამ ოთახების გაღება ვიზიტის დროს ვერ მოხერხდა. რეესტრის წარმომადგენლის გამოძახებაც ვერ მოხერხდა, რადგან ამ ადამიანს ავადმყოფ

მამასთან დაკავშირებით ტრაგიკული შემთხვევა დაემართა და ეს თანამშრომელი ახლაც მკურნალობის ქვეშაა *(ამ ტრაგიკული მოვლენის დეტალურმა აღწერამ საბჭოს წევრების უარყოფითი რეაქცია გამოიწვია).* ამასთან დაკავშირებით თამარ ქიტიაშვილმა განმარტება გააკეთა, რომ ამ ყველაფერზე პასუხისმგებელია დაწესებულების ხელმძღვანელობა და მან უნდა გამოყოს პირი, რომელიც ვიზიტის დროს შეძლებს, უზრუნველყოს საჭირო დოკუმენტების მოძიება და ექსპერტებისთვის წარდგენა. მან იკითხა, იყო თუ არა კოლეჯის ხელმძღვანელობა ადგილზე, რაზეც დადებითი პასუხი მიიღო და კიდევ ერთხელ განმარტა, რომ მონიტორინგის დროს დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ექსპერტთა ჯგუფის ხელშწყობა და ყველა დოკუმენტის წარდგენა. დირექტორის მოადგილემ საბჭოს წევრებს წარუდგინა ცენტრიდან გადაგზავნილი გეგმიური მონიტორინგის დღის წესრიგი და იკითხა, ამ დოკუმენტში ჩანაწერი: „ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით შესაძლებელია დღის წესრიგში ცვლილებების შეტანა", ნიშნავს თუ არა იმას, რომ რაც დაგეგმილი მონიტორინგის დროს ვერ შემოწმდება, უნდა შეიცვალოს და აღარ უნდა შემოწმდეს. ამაში არ დაეთანხმნენ საბჭოს წევრები და კახაბერ ერაძემ მას განუმარტა, რომ ეს ჩანაწერი ნიშნავდა იმას, რომ მხოლოდ საკითხების გადანაცვლებაა შესაძლებელი დროის და დღეების ფარგლებში, მაგრამ არა შესამოწმებელი საკითხების ამოღება. ამის შემდეგ დაწესებულების დირექტორის მოადგილემ საბჭოს წევრებს თხოვნით მიმართა, რომ გაითვალისწინონ ის დიდი გამოცდილება, რაც წლების მანძილზე დაუგროვდა კოლეჯის ხელმძღვანელობას, რომ საბჭოს წევრთა უმრავლესობა იმ ასაკისაც არ არის, რამდენი წელიც მას პირადად განათლების სისტემაში აქვს ნამუშევარი (40 წელზე მეტი). ხედავს, რომ ბევრი რამეა შესაცვლელი სისტემაში, ამიტომ მასაც ეთქმის სიტყვა და გააჩნია თავისი აზრი. მისი თქმით, მონიტორინგის განსახორციელებლად არ იყო შერჩეული შესაფერისი დრო. თამარ ქიტიაშვილმა მას განუმარტა, რომ ავტორიზაციის დებულების თანახმად, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უფლებამოსილია, იმ დროს ჩანიშნოს გეგმიური თუ არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი, როდესაც ჩათვლის საჭიროდ და არ არის ვალდებული, დაწესებულებასთან შეათანხმოს დრო. როგორც საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, ცენტრი მოქმედებს მისი გეგმის მიხედვით და მონიტორინგის განხორციელების თარიღის არჩევის დროს ვერ გაითვალისწინებს ცალკეული დაწესებულების ფუნქციონირების რითმს. ამავე დროს, საბჭოს უფლებამოსილება არ არის გლობალური საკითხების განხილვა, ფორმატი შემოსაზღვრულია, საბჭო იხილავს დაწესებულებების მიერ ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილების საკითხებს და ამის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს.

ნანა ყუფუნიამ დაამატა, რომ დაწესებულებამ ზემოაღნიშნულ ფორსმაჟორულ სიტუაციაშიც უნდა შეინარჩუნოს ორგანიზაციული მოწყობის ფორმა და ვერც სარემონტო სამუშაოებმა და ვერც მუშების მიერ დოკუმენტების გადაადგილებამ ხელი ვერ უნდა შეუშალოს ფუნქციონირებაში და თუ ეს არ ხერხდება, არის მენეჯმენტის პრობლემა. კოლეჯის დირექტორის მოადგილეც დაეთანხმა, რომ რეესტრის წარმომადგენლის მოყვანა ვერ შეძლეს და რეესტრის წარმოების წესიც დარღვეული იყო, თუმცა არ ჰქონიათ ისეთი შემთხვევა, რომ არარსებული სტუდენტისთვის მიენიჭებიათ კვალიფიკაცია.
საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს კითხვით მიმართა, თუ როდის დაასრულა სწავლა კოლეჯის ბოლო სტუდენტმა და მიენიჭა კვალიფიკაცია და იყო თუ არა ეს ბაზაში ასახული. ამასთან დაკავშირებით შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ კოლეჯში ვიზიტის პირველ დღეს, 3 სექტემბერს, ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა ბაზა და დააფიქსირდა აქტიური სტატუსის მქონე რამდენიმე სტუდენტი. ბაზაში იმის დაფიქსირება, რომ აღნიშნულმა სტუდენტებმა დაასრულეს სწავლა და მიენიჭათ კვალიფიკაცია, მოხდა მომდევნო დღეს, 4 სექტემბერს, ანუ ამ დღემდე არ იყო განახლებული რეესტრის მონაცემები. ამ საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტები კი საერთოდ ვერ იქნა მოძიებული კოლეჯის

წარმომადგენლების მიერ, როგორც უკვე აღინიშნა. შორენა ჯაფარიძემ ერთხელ კიდევ გაიმეორა, რომ კვალიფიკაციის მინიჭების არანაირი დოკუმენტი კოლეჯს არ წარმოუდგენია, შეიძლება სადღაც არსებობდა დაკეტილ ოთახში, მაგრამ ექსპერტებმა ვერ ნახეს.

ქვესტანდარტი 1.6

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე (პროფესიულ სტუდენტთა კითხვარები, კურსდამთავრებულთა კითხვარი და სხვა) არ დასტურდება, რომ დაწესებულებაში დანერგილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

თამარ ქიტიაშვილი დაინტერესდა, ჰქონდათ თუ არა ექსპერტებს შესაძლებლობა, რომ გასაუბრებოდნენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელს, რაზეც შორენა ჯაფარიძემ უპასუხა, რომ ჰქონდათ და გარკვეული რჩევებიც მისცეს თუნდაც იმასთან დაკავშირებით, რომ საგნობრივი პროგრამებიდან მოდულურზე გადავიდნენ. თამარ ქიტიაშვილი ჩაეკითხა, ზეპირსიტყვიერი საუბრისას ხომ არ გამოვლინდა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები მუშაობს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მისი აზრით, მონიტორინგის ვიზიტის დროს, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შეფასებისას წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი დოკუმენტები, უნდა იყოს ხარისხის მართვის ჩამოყალიბებული სისტემა თავისი შეფასებებით, კითხვარებით და ა.შ. არსებობდა კითხვარები, მაგრამ იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ კითხვარები ამ დაწესებულების არ იყო, ყველა კითხვარი დანართის სახითაა წარმოდგენილი. ქიტიაშვილმა კიდევ ერთხელ დასვა კითხვა, იქნებ საუბრისას დარჩა ექსპერტებს შთაბეჭდილება, რომ არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის გამართული სისტემა, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ გამართულ რეგულაციებზე შეიძლება ვისაუბროთ ავტორიზაციის დროს, უკვე მოქმედი დაწესებულების მონიტორინგის დროს აუცილებლად უნდა არსებობდეს უკვე ხარისხის მექანიზმების ფუნქციონირების დამადასტურებელი დოკუმენტები, რეგულაციები არსებობს, მაგრამ მექანიზმების ფუნქციონირების დამადასტურებელი არაფერი არ არსებობს, რაზეც დაეთანხმა კოლეჯის დირექტორის მოადგილე.

ქვესტანდარტი 2.1

დაწესებულება 2018 წლის 10 ოქტომბრიდან დღემდე სასწავლო პროცესს ახორციელებს იმ ფართზე, სადაც ავტორიზაცია არ გაუვლია, ვინაიდან შეიცვალა ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 8 ივლისის №16 გადაწყვეტილებებით განსაზღვრული ფართი (ალ. ყაზბეგის N47, მეორე სართული) და გადავიდა იგივე შენობის მეექვსე სართულზე, ხოლო ფართის შეცვლის თაობაზე არ აცნობა ცენტრს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბერის Nბრძანება №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების და საფასურის", „ავტორიზაციის პერიოდში ცენტრის ინფორმირების წესებით" დადგენილ ვადებში.

გარდა ამისა, დაწესებულების მიერ 2018 წლის 10 ოქტომბერს შპს საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკურ საბაკალავრო კოლეჯთან დადებული იჯარის ხალშეკრულება, რომელიც ძალაშია 2022 წლის

31 დეკემბრის ჩათვლით, არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, რითიც დარღვეულია რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტი, რომლის შესაბამისად, კერძო სამართლის იურიდიული პირის მონაწილეობით 1 წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული უფლებების წარმოშობისათვის აუცილებელია მათი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული ხელშეკრულებით ვერ დასტურდება იჯარის უფლება და ის ვერ ჩაითვლება ფართის ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტად.

ასევე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის ფლობა და სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი. ხელშეკრულებას არ ერთვის მატერიალური რესურსის ჩამონათვალი. დაწესებულების წარმომადგენლები სიტყვიერად საუბრობდნენ მათ მიერ ათვისებულ აუდიტორიებზე, სველ წერტილებზე, თუმცა ამის დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტაცია არ არსებობდა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა შეფასებას და აღნიშნა, რომ ეს მათი მხრიდან ან უცოდინრობის ან ასაკიდან გამომდინარე სტანდარტების მიმართ ლოალური დამოკიდებულების ბრალია. კახაბერ ერაძე დაინტერესდა, ახალი ფართი იგივეა, რაზეც ავტორიზაცია გაიარეს, თუ არა, რაზეც მიიღო პასუხი, რომ დაახლოებით იგივეა. სიტყვიერი განმარტებით, კოლეჯი უნივერსიტეტის სამართალმემკვიდრეა, მაგრამ ქონების გადაცემის არცერთი დოკუმენტი არ არსებობს. კოლეჯის დირექტორის მოადგილემ წარადგინა 2024 წლამდე თხოვების ხელშეკრულებები, რომლითაც, მისი თქმით მატერიალური ქონება უნივერსიტეტიდან გადაცემულია კოლეჯზე, სამწუხაროდ, ვიზიტის დროს ხელშკრულებები ვერ იქნა მოძიებული. კახაბერ ერაძემ გადახედა წარმოდგენილ ხელშეკრულებებს განაცხადა, რომ არ ჩანს ხელშეკრულებებისა და მატერიალური რესურსი ჩამონათვალის ერთიანობა .

ქვესტანდარტი 2.3

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი მასალებით ვერ დასტურდება საბიბლიოთეკო ფონდში არსებული ლიტერატურის ჩამონათვალი, ბიბლიოთეკის ფონდის (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურასთან.

ქვესტანდარტი 2.4

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, არ დასტურდება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფლობა, შესაბამისად ქვესტანდარტის მოთხოვნა - საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში - ვერ შეფასდება დადებითად.

ქვესტანდარტი 2.6

ვიზუალური დათვალიერებისა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, არ დასტურდება ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმების არსებობა, კერძოდ ევაკუაციის გეგმა არ არის შემუშავებული და დამტკიცებული უფლებამოსილი ორგანოს მიერ; არ არის მოწყობილი სამედიცინო ოთახი/კუთხე, გამოყოფილი სამედიცინო პერსონალი, მედიკამენტები ფიზიკურად

არსებობდა, მაგრამ ფლობის დოკუმენტები არ არსებობდა პირველად გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელი პირიც არ იყო განსაზღვრული, თუმცა დირექტორის მოადგილემ განაცხადა, რომ აქვთ დირექტორისთვის, რომელიც პროფესიით ქირურგია, ამ ფუნქციის განსაზღვრის დოკუმენტი, მაგრამ საბჭოსთვის არ წარუდგენიათ.

ქვესტანდარტი 2.8

დაწესებულების ვებგვერდი არ არის განახლებადი, ბოლო ინფორმაცია 2 წლის წინ არის დაფიქსირებული, ვებგვერდზე წარმოდგენილი ინფორმაცია თარიღის მითითების გარეშე, კოლეჯში საგნობრივ პროგრამებზე პროფესიული სტუდენტების მიღების შესახებ არის მცდარი და შეცდომაში შემყვანი.

ექსპერტებმა დაწესებულებას მისცეს შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ გადაიხედოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი იყოს სამუშაოების შესრულების ვადები, საჭირო რესურსები, პასუხისმგებელი პირები და ინდიკატორები. გეგმებში წარმოდგენილი იყოს დაგეგმილი სამუშაოების შეფასების მეთოდოლოგია და შემუშავდეს სამოქმედო გეგმების შესრულების წლიური ანგარიშები;
- რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ გაწეროს ადმინისტრაციული პერსონალის მიმართ საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- რეკომენდებულია, რომ გადაიხედოს პერსონალის პირადი საქმეები და შეივსოს საჭირო დოკუმენტებით.

თამარ ქიტიაშვილი დაინტერესდა, რა მოიძიეს ექსპერტებმა სტრატეგიულ გეგმაში, იყო თუ არა ასახული, საგნობრივ პროგრამებზე სწავლის დასრულების შემდეგ რას გეგმავდა დაწესებულება, რაზეც შორენა ჯაფარიძემ უპასუხა, რომ სტრატეგიულ გეგმაში არ იყო განსაზღვრული ინდიკატორები, შემსრულებლები, ფაქტიურად ავტორიზაციის გავლის შემდეგ არაფერი არ ჰქონდათ განახლებული. გეგმა დირექტორის მოადგილემ განაცხადა, რომ მას მიაჩნია, რომ 2022 წლამდე აქვს ავტორიზაცია და უნდა ჰქონდეს საგნობრივი პროგრამების განხორციელების უფლება, ეს არის კაზუსი, რომელიც სამინისტრომ დაუშვა და გააუქმა საგნობრივი პროგრამები. კოლეჯი არ არის სახელობო სპეციალობების განმახორციელებელი, ახორციელებს საოფისე პროგრამებს, რადგან ქვეყანაში არ არსებობს ეკონომიკური განვითარების გეგმა, ძნელია, კოლეჯმა განსაზღვროს თავისი სამომავლო სპეციალობები, ჩვენ საზოგადოების მენტალობას ვსწავლობათ, საზოგადოებაში რომელი სპეციალობებია მოთხოვნადი და იმის მიხედვით ვირჩევთ პროგრამებს. განაცხადა რომ იგი არის ეკონომიკის დოქტორი და იცის, რომ კოლეჯებისთვის რთულია დაგეგმოს სამომავლო პროგრამები, კოლეჯში მუშაობს დამსახურებული ხალხი, მთავარია საბოლოო პროდუქტი. არ მომხდარა სტუდენტებთან გასაუბრება, რაც ვერ შედგა, რადგანაც სწავლის პროცესი აღარ იყო, მონიტორინგი არასწორად იყო ჩანიშნული. ქიტიაშვილის განმარტებით, გეგმიური მონიტორინგი ვერ გაითვალისწინებს ცალკეული დაწესებულების ფუქციონირების რიტმს, მონიტორინგის მიზანია ხარისხის გაუმჯობესება, ამავე დროს უახლოეს პერიოდში ამოქმედდება ავტორიზაციის 5 ახალი სტანდარტი, რაც მეტ მოთხოვნებს უყენებს დაწესებულებებს და ცენტრის მიზანიც იმაში მდგომარეობს, რომ მონიტორინგის საფუძველზე რეკომენდაციები მიეცეს დაწესებულებებს და მომზადებული შეხვდნენ ახალი სტანდარტების დანერგვას.

კოლეჯის დირექტორის მოადგილემ კიდევ ერთხელ გამოთქვა აზრი, დაწესებულებამ დაასრულა საგნობრივ პროგრამებზე სწავლება, მოდულური ჯერ არ დაუმატებია, ფაქტიურად შეჩერებული აქვს ავტორიზაცია და საბჭოს მიმართა თხოვნით, სათათბიროდ გასვლის შემდეგ გაითვალისწინონ ის დოკუმენტები, რომლებიც საბჭოზე წარმოადგინეს *(თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტები სხვა სახის იყო, რასაც საბჭოს თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა, პროგრამების განხორციელების შეფასების ნაცვლად წარმოდგენილი იქნა სტუდენტთა შფასების სქემები).* დირექტორის მოადგილე დაინტერესდა, თუ საბჭო შეუწყვეტდათ ავტორიზაციას, რა ვადაში შეეძლოთ განაცხადის შემოტანა, რაზეც მიიღო პასუხი, რომ იგივე იურიდიულ პირს შეუძლია მხოლოდ ერთი წლის შემდეგ, ახალ იურიდიულ პირს - მეორე დღესვე. ეს ხარვეზები 5 საათში შეიძლება გამოსწორებულიყო, აღნიშნა მან, ძალიან დიდი ფინანსური ზარალი მიიღო კოლეჯმა და ყველაფერი ამიტომ შეფერხდა. ეს არის ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამისი რგოლის პრობლემა.

თამარ ქიტიაშვილმა მოითხოვა კარგად განმარტებულიყო ჯანდაცვის სამინისტროსთან რა კავშირშია ეს ყველაფერი, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ჯანდაცვის სამინისტროში წარდგენილი ჰქონდათ მოკლევადიანი პროგრამები, რომელზე თანხმობა განათლების სამინისტრომ დროულად ვერ წარადგინა და ამ მოკლევადიან პროგრამებზე ვერ მიიღეს განხორციელების უფლება, ამან ყველაფერმა ფინანსურად და მორალურად დააზარალა კოლეჯი და იქნებ ესეც მიიღოს საბჭომ მხედველობაში.

საბჭოს წევრებს მიმართა დაწესებულების დირექტორმა ნავოლის ქობულიამ. როგორც მან განმარტა, არა სამსახურებრივი პრინციპებიდან და მოვალეობებიდან, არამედ ადამიანური ფაქტორებიდან გამომდინარე, ითხოვს საბჭოს მხრიდან ანგარიშის გაწევას, როგორც მან განაცხადა, პროფესიით არის ექიმი, კერძოდ, ქირურგი, მოსკოვში აქვს დამთავრებული დოქტორანტურა და იქ აქვს დაცული დისერტაცია, მუშაობს პროფესიით. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ყველა მთავრობასთან ჰქონდა შეხება და მთავრობის მეთაურები და პრეზიდენტებიც ანგარიშს უწევდნენ.

კოლეგებმა ურჩიეს ამ კოლეჯის დაფუძნება და ორი წელია, რაც ამ საქმით არის დაკავებული, თუმცა ფინანსურად ძალიან დაზარალდა, რადგან არაა სპეციალისტი ამ მიმართულებით და ვერ განსაზღვრა პერსპექტივაში კოლეჯის რენტაბელობა. მან საბჭოს ყველა წევრს მოუწოდა, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დროს გაითვალისწინონ ეს გარემოება, მხარი დაუჭირონ მას და არ გაუფუჭონ საქმე უფრო მეტად. დაწესებულების დირექტორმა განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებს ჰქონდათ უფლება, რომ მონიტორინგის ვიზიტის დროს ექსპერტები უკან გაებრუნებინათ, თუმცა ეს არ გააკეთეს და დელიკატურად მიიღეს ექსპერტთა ჯგუფი. თამარ ქიტიაშვილი ჩაეკითხა მას, რომ ალბათ „აცილებას" გულისხმობდა, რაზეც კოლეჯის დირექტორმა უპასუხა, რომ მართალია, ეს ტერმინები ჯერ ბოლომდე არ იცის და ნელ-ნელა სწავლობს, თუმცა იცის სხვა უამრავი ტერმინი.

საბჭოს თავმჯდომარემ ზემოთქმულთან დაკავშირებით გააკეთა განმარტება, რომ საბჭო არ იღებს გადაწყვეტილებებს გემოვნების მიხედვით, ნეგატიური ან პოზიტიური განწყობებისა და ემოციების საფუძველზე. საბჭოს საორიენტაციოდ აქვს ავტორიზაციის დებულება და შესაბამისი სტანდარტი, რომელიც საბჭოსთვის არის ცალსახა საკანონმდებლო ჩარჩო და საფუძველი გადაწყვეტილების მისაღებად. არსებული შემადგენლობით მუშაობისას ერთი წლის განმავლობაში საბჭოს არც ერთი გადაწყვეტილება არ მიუღია ორმაგი სტანდარტით და ვერცერთი დაწესებულება ვერ იტყვის, რომ ერთის მიმართ განსხვავებული მიდგომა ჰქონდა საბჭოს და განსხვავებული - მეორეს მიმართ. აქედან გამომდინარე, რა ტიპის გადაწყვეტილებაც არ უნდა იქნას მიღებული, ის იქნება გამყარებული შესაბამისი

არგუმენტებით, რომლებიც მოქცეული იქნება სამართლებრივ ჩარჩოში და დაფუძნებული იქნება გარკვეულ ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე. საბჭოს თავმჯდომარის თქმით, საბჭოს წევრებს არ აქვთ არანაირი სხვა ინტერესი და მიზანი გარდა იმისა, რომ დაწესებულებებს მისცენ ბიძგი, რომ სტანდარტების ჩარჩოში მოაქციონ თავიანთი პრაქტიკა და გამოცდილება, რომ გაუმჯობესდეს სწავლების ხარისხი, რათა დაწესებულებებმა მაღალი ხარისხის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება შეძლონ. საბჭოსთვის არც ისე მარტივია გადაწყვეტილებების მიღება, თუმცა ყოველთვის ეყრდნობა დასაბუთებებს, სტანდარტების მოთხოვნებს, სხდომაზე გამოვლენილ გარემოებებს, ამ შემთხვევაშიც იმსჯელებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. დირექტორმა ეჭვი გამოთქვა და განაცხადა, რომ ეჭვი ეპარება საბჭოს ობიექტურობაში და ფიქრობს, რომ საბჭომ წინასწარ იცის რა გადაწყვეტილებას მიიღებს.

საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მისაღებად და აზრების შესაჯერებლად 17:41 სთ.-ზე გამოცხადდა შესვენება. საბჭოს სხდომა განახლდა 17:55 სთ.-ზე.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, საბჭომ განიხილა აღნიშნული საკითხი და აქვს შემდეგი მოსაზრებები წარმოდგენილ ხარვეზებთან დაკავშირებით: პირველ ხარვეზთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ქვესტანდარტის მოთხოვნას, რომ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდეს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები, საბჭომ გადაწყვიტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნაში მოყვანილი გარემოებების გათვალისწინებით, განხილვიდან მოიხსნას აღნიშნული ხარვეზი, რადგან საკმარისი მტკიცებულება არ იქნა წარმოდგენილი მასთან დაკავშირებით. რაც შეეხება დანარჩენ ხარვეზებს, საბჭო იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის პოზიციას და ტოვებს მათ ხარვეზის სტატუსით.

საბჭოს შეჯერებული პოზიციის დაფიქსირების შემდეგ თამარ ქიტიაშვილის რეკომენდაცია იყო, რომ დაწესებულებამ თავის გამოცდილებასა და უკვე დანერგილ პრაქტიკას გარკვეული „ახალი სისხლი" შემატოს როგორც მართვის, ისე სწავლების კუთხით. „ახალი სისხლი", პირველ რიგში, გულისხმობს იმას, რომ პროფესიულ განათლებას თავისი სპეციფიკური მიდგომები აქვს მოდულური სწავლების კონტექსტში, რაც სიახლეა განათლების სისტემაში და მასთან დაწესებულებას შეხება არ ჰქონია, ამიტომ სასურველია, რაც შეიძლება მეტი მოდულური პროგრამის სპეციფიკის მცოდნე ადამიანი იქნას ჩართული როგორც მენეჯმენტში, ისე პროგრამების განხორციელებაში. საბჭოს თავმჯდომარის თქმით, დაწესებულება საჭიროებს მხარდაჭერას ამ კუთხით. მან კოლეჯის წარმომადგენლებს ურჩია, გამოიყენონ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მხარდაჭერის მექანიზმები და მიმართონ შესაბამის პირებს, რომლებიც კონსულტაციას გაუწევენ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის მეშვიდე პუნქტის და 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად,

შპს წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივ კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 404903565) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

გადაწყვეტილება გამოქვეყნდება ცენტრის ვებგვერდზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, 10 სამუშაო დღის ვადაში. გადაწყვეტილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკითხის განხილვის დასასრულს დაწესებულების დირექტორმა ნავოლის ქობულიამ უკმაყოფილება გამოთქვა საბჭოს მიერ დაფიქსირებულ პოზიციასა და მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ დიდი შეცდომა დაუშვეს საბჭოს წევრებმა. იგი აღშფოთებული იყო იმით, რომ ასეთ სიტუაციაში აღმოჩნდა, თითქოს საბჭოს წევრები იყვნენ მტრები, ხოლო დაწესებულების წარმომადგენლები - მტრობის ობიექტები. მან დაადანაშაულა საბჭო იმაში, რომ გაურთულა ფინანსურად ისედაც რთული მდგომარეობა. ამასთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ რჩევა მისცა დაწესებულების დირექტორს, რომ ისევ და ისევ მისი, როგორც ბიზნესმენის ინტერესებიდან გამომდინარე, სანამ ფინანსებს ჩადებს ბიზნესში, კარგად უნდა გაერკვეს კონკრეტული ბიზნესის რეგულაციაში და მხოლოდ ამის შემდგომ გადადგას ესა თუ ის ნაბიჯი. დაწესებულების დირექტორი საბჭოს თავმჯდომარესთან აღშფოთებული მივიდა იმის გასარკვევად, თუ რა რჩევა მისცა კონკრეტულად და მოსთხოვა, ეთქვა გვარი, რის შემდეგაც თავმჯდომარემ მას მოუწოდა, დაეტოვებინა სხდომა, რადგან დასრულებული იყო დაწესებულების საკითხის განხილვა.

2. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Natali Academy-ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის მაძიებლის თვითშეფასების შევსებულ ფორმას და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტთან დაკავშირებით ავტორიზაციის მაძიებლის მიერ წარდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტთან დაკავშირებით ავტორიზაციის მაძიებლის მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიცია - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აღნიშნული საკითხის განხილვის დასაწყისში საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს ორმა წევრმა - ლელა მაისურაძემ და ანა საბახტარიშვილმა და შეუერთდა ერთი წევრი - გიორგი ტრაპაიძე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - ალინა კუპრავამ და თამთა კვინიკაძემ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ალინა კუპრავამ, საბჭოს წარუდგინა პრეზენტაცია ფოტომასალით და გააცნო ვიზიტის ზოგადი მიმოხილვა. დასაწყისში მან აღნიშნა, რომ კოლეჯში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 23, 24 და 25 ოქტომბერს და ვიზიტის მიზანი იყო დადგენილ ავტორიზაციის სტანდარტებთან დაწესებულების პირობების შესაბამისობის შეფასება. როგორც ალინა კუპრავამ აღნიშნა, კოლეჯს მინიჭებული ჰქონდა ავტორიზაცია და ახლა ხელახალი ავტორიზაციის მოპოვება სურს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით, ვიზიტის დროს შესაბამისი აქტივობების განხორციელებისა და შეფასების შედეგად, არ გამოვლენილა არც ერთი ხარვეზი და არ დამდგარა კონკრეტული რეკომენდაციების გაცემის აუცილებლობა.

ალინა კუპრავამ მოიყვანა საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი, რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

1. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Natali Academy პროფესიული განათლებისა და სილამაზის მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდის უზრუნველყოფის მიზნით, სისტემატურად ახორციელებს სოციალურ პროექტებს. აკადემიის პროფესიული სტუდენტები და მსმენელები აქტიურად არიან ჩართულები ამ სახის პროექტებში და მომსახურებას უწევენ სოციალურად დაუცველ და მოწყვლად მოსახლეობას. წლების განმავლობაში აკადემიის სტუდენტთა სერვისების მომხმარებლები არიან:

- თბილისის ბავშვთა და მოხუცთა თავშესაფრების ("სიკეთის ლამპარი", "სავანე","ლამარია", "სათნოება") ბენეფიციარები;

- ფერისცვალების დედათა მონასტრის მოწყალების ცენტრისა და ასევე შინმოვლის ბენეფიციარები;

- ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის ბენეფიციარები.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Natali Academy ამ პროექტების განხორციელებით ასევე ცდილობს, პროფესიულ სტუდენტებში ხელი შეუწყოს სამოქალაქო და სოციალური პასუხისმგებლობის, ემპათიისა და თანასწორობის განვითარებას.

2. 2019 წელს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Natali Academy აქტიურად ჩაერთო "ლიბერთი ბანკის" სოციალურ კამპანიაში, რომლის ფარგლებში ბანკის სოციალურად დაუცველი მომხმარებელი, მთელი წლის განმავლობაში სპეციალური ფასდაკლებით სარგებლობს აკადემიისა და მისი სასწავლო სტუდია-სალონის სერვისებით. კოლეჯი "ლიბერთი ბანკთან" ერთად 2019 წლიდან ახორციელებს 60 წელს ზემოთ ქალბატონებისთვის სტილისტის გადამზადების კურსს. მიმდინარე პერიოდისთვის პროექტის ფარგლებში გადამზადდა 30 ქალბატონი.

3. 2020 წლის გაზაფხულზე დაგეგმილია "საქართველოს SOS ბავშვთა სოფელი", ქუთაისის პროგრამის, „ქუთაისის ოჯახის გაძლიერების პროექტის" ბენეფიციარებისთვის უსასყიდლო ტრენინგი "ბიზნეს სტარტაპი - სილამაზის ობიექტების გახსნა და მართვა".

4. გარდა ამისა, შპს საზოგადოებრივ კოლეჯში Natali Academy დაგეგმილია მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში პროექტით ,,აკადემიიდან ბიზნესამდე", რაც გულისხმობს "მეწარმოებისა" და "მარკეტინგის საფუძვლების" მოდულების კონკურსის წესით შეფასებას. კერძოდ, მოდულების სწავლის შედეგების დადასტურება ხორციელდება ერთად, სილამაზის მომსახურების ობიექტების პროექტის წარდგენა-დაცვით. საუკეთესო პროექტი, იდეა, დაფინანსებული იქნება ნატალი ჯგუფის მიერ.

ექსპერტთა თავმჯდომარის თქმით, კოლეჯს წარმოდგენილი ჰქონდა ოთხი საგანმანათლებლო პროგრამა: ვიზაჟისტი, სტილისტი, კანის მოვლა და სპა პროცედურები, ფრჩხილის მოვლის სპეციალისტი.

სტუდენტთა ადგილების მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობასთან დაკავშირებით ალინა კუპრავამ განაცხადა, რომ გადამოწმებულ იქნა როგორც მატერიალური რესურსი, ისე განმახორციელებელი პერსონალი, რაც სრულიად საკმარისი აღმოჩნდა აღნიშნული პროგრამების განსახორციელებლად.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ პრაქტიკის რამდენი ობიექტი მოინახულეს ექსპერტებმა ვიზიტის ფარგლებში, რაზეც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ იყვნენ 3 ობიექტში - ქსელის 3 სალონში.

როგორც ალინა კუპრავამ განაცხადა, გადამოწმებულ იქნა, თითოეული მარეგულირებელი დოკუმენტის მიხედვით როგორ ხორციელდებოდა პროცესები, ასევე გადამოწმდა სტუდენტების ჩარიცხვასთან, სტატუსის მოპოვებასთან, სტატუსის შეჩერება-შეწყვეტასა და კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტები, რეესტი, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და ა.შ. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კოლეჯს წარმოდგენილი ჰქონდა სტუდენტის, მასწავლებლის, კურსდამთავრებულის კვლევები და ნათლად ჩანდა, რომ დაწესებულებამ 5 წლის განმავლობაში თავისი მარეგულირებელი წესების მიხედვით განახორციელა აქტივობები.

თავმჯდომარე დაინტერესდა, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კითხვა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Natali Academy-ისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, ,,პროფესიული განათლების შესახებ კანონის'' მე-8 მუხლის მე- 5 პუნქტის, 39-ე მუხლის 1^5 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების"

24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად,

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ Natali Academy-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 404441895) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 138-ით.

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ Natali Academy-ს მიენიჭოს უფლებამოსილება, განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები.

დანართი

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ვიზაჟისტი (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში 1012	53	68	ქართული	32	ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ №71
2	სტილისტი (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში 1012	57	72	ქართული	40	ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ №71
3	კანის მოვლა და სპა პროცედურები (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში 1012	58	73	ქართული	30	ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ №71
4	ფრჩხილის მოვლის სპეციალისტი (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში 1012	50	65	ქართული	36	ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ №71

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას,

რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

გადაწყვეტილება გამოქვეყნდება ცენტრის ვებგვერდზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, 10 სამუშაო დღის ვადაში. გადაწყვეტილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. სსიპ - კოლეჯი „იბერიისთვის" ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „ელექტროობის" საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - პაატა ცაგარეიშვილმა და დავით კუპატაძემ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, პაატა ცაგარეიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო ვიზიტის მიზანი, რომელიც მოიაზრებდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის მიზნით, "ელექტროობის" საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებას. ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 30 სექტემბერს და 1 ოქტომბერს. როგორც პაატა ცაგარეიშვილმა აღნიშნა, ვიზიტის შედეგად არც ერთი ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს მისცეს რეკომენდაციები ვებგვერდთან, იურიდიულ აქტებში და სხვა დოკუმენტებში ფორმულირებების გამეორებასთან და სხვა ტექნიკური ხასიათის უზუსტობებთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, მატერიალური რესურსის თვალსაზრისით რა მდგომარეობა იყო დაწესებულებაში და ეთანხმებოდნენ თუ არა ექსპერტები სტუდენტთა ადგილების მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობას, რაზეც პაატა ცაგარეიშვილმა უპასუხა, რომ ეთანხმებოდნენ, რადგან საკმაოდ დიდი ფართია და კოლეჯი ფლობს საკმარის რესურსს.

თავმჯდომარე დაინტერესდა, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კითხვა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „იბერიისთვის“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „ელექტროობის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი პუნქტისა და მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტის და 34-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯ „იბერიას“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 212682051) „სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერიისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 21 სექტემბრის №35 გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ „ელექტროობის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 60-ით.

საგანმანათლებლო პროგრამა

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ელექტროობა (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში 0713	52	67	ქართული	30	ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. №12
							30	ქ. ბაღდათი, რუსთაველის ქ. №80

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

გადაწყვეტილება გამოქვეყნდება ცენტრის ვებგვერდზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, 10 სამუშაო დღის ვადაში. გადაწყვეტილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 სექტემბრის №60 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ მოხდა შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის მისამართის ცვლილება და ასევე დაწესებულებამ მოახდინა ავტორიზებული საგანმანათლებლო პროგრამების - „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ და „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ მოდიფიცირება, წარმოადგინა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, განიხილა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა და შუამდგომლობს საბჭოსთან ამ ორი საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაციისა და კოდის ცვლილების თაობაზე. ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წევრებს თხოვნით მიმართა, განეხილათ გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 სექტემბრის №60 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 სექტემბრის № 60 გადაწყვეტილებაში. კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური/ დონე	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტების ათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში 1041	95	110	ქართული	200	ქ. ბათუმი, შ. ინასარიძის ქ. №29
2	გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში 1041	91	106	ქართული	200	ქ. ბათუმი, შ. ინასარიძის ქ. №29

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

გადაწყვეტილება გამოქვეყნდება ცენტრის ვებგვერდზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, 10 სამუშაო დღის ვადაში. გადაწყვეტილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

5. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონისთვის“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „ბუღალტრული აღრიცხვისა“ და „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის“ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - ნანა ბარნაბიშვილმა და ია გიგიბერიამ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნანა ბარნაბიშვილმა, საბჭოს წევრებს გააცნო ვიზიტის მიზანი, რომელიც მოიაზრებდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის მიზნით, "ბუღალტრული აღრიცხვისა" და „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის" საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებას. ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 21 და 22 ოქტომბერს ქ. ქუთაისსა და ქ. თბილისში. როგორც ნანა ბარნაბიშვილმა აღნიშნა, ვიზიტის დროს გადამოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია, პრაქტიკის ობიექტები, ფართი, რომელიც კოლეჯმა ქ. თბილისში დაიმატა, რის შედეგადაც არც ერთი ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენი პრაქტიკის ობიექტი მოინახულეს ექსპერტებმა, რაზეც ნანა ბარნაბიშვილმა უპასუხა, რომ ისინი იყვნენ ორ ახალ პრაქტიკის ობიექტზე: ქ. ქუთაისში - შპს „ათინათში" და ქ. თბილისში - შპს „მარმალენდში". თამარ ქიტიაშვილი ექსპერტებს ჩაეკითხა, არის თუ არა აღნიშნულ პრაქტიკის ობიექტებზე საკმარისი რაოდენობის სტუდენტების მიღების შესაძლებლობა, რაზეც მათ უპასუხეს, რომ „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის" საგანმანათლებლო პროგრამისთვის განკუთვნილი პრაქტიკის ობიექტი ამისთვის მზად არის, ხოლო „ბუღალტრული აღრიცხვის" საგანმანათლებლო პროგრამიდან მხოლოდ გაცნობითი პრაქტიკის გავლა არის გათვალისწინებული ობიექტზე.

როგორც ექსპერტებმა განაცხადეს, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული პროგრამებისთვის კოლეჯმა დაიმატა ფართი, ამ მხრივ არანაირი პრობლემა არ წარმოიშობა. ნანა ბარნაბიშვილმა აღნიშნა, რომ გადამოწმდა ადამიანური რესურსის კვალიფიკაციაც და დაწესებულებაში კვალიფიციური პერსონალია დასაქმებული.

თავმჯდომარე დაინტერესდა, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კითხვა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონისთვის" ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „ბუღალტრული აღრიცხვისა" და „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის" საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი პუნქტისა და მე-2 პუნქტის „ბ'' ქვეპუნქტის, 33[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტის და 34-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად,

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონს'' (საიდენტიფიკაციო კოდი: 412683813) შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 29 სექტემბრის №63 გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 64-ით.

საგანმანათლებლო პროგრამა

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი (1)	მეხუთე საფეხური	ბაგა-ბაღის აღმზრდელი-პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 030254	111	141	ქართული	64	ქ. თბილისი, ბაქრაძის ქ. №6

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონს'' (საიდენტიფიკაციო კოდი: 412683813) შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 13 ივლისის №123 გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ „ბუღალტრული აღრიცხვის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 128-ით.

საგანმანათლებლო პროგრამა

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები

				სტუდენტებისათვის	სტუდენტებისათვის			
1	ბუღალტრული აღრიცხვა (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 0411	99	129	ქართული	64	ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2
							64	ქ. თბილისი, ბაქრაძის ქ. №6

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

გადაწყვეტილება გამოქვეყნდება ცენტრის ვებგვერდზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, 10 სამუშაო დღის ვადაში. გადაწყვეტილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

6. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 29 სექტემბრის №63 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა

ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონის“ მისამართია ტექნიკურად გასასწორებელი და საბჭოს სთხოვა, განეხილა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 29 სექტემბრის №63 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხიც.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 29 სექტემბრის №63 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 29 სექტემბრის №63 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ოფისის მენეჯერი	მესამე	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020356	60	ქართული	30	ქ. თბილისი, ბაქრაძის ქ. №6
						24	ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2
2	მცირე ბიზნესის მწარმოებელი	მეოთხე	მცირე ბიზნესის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020360	60	ქართული	32	ქ. თბილისი, ბაქრაძის ქ. №6
						28	ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2
3	ინფორმაციული ტექნოლოგიები	მესამე	ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040153	60	ქართული	32	ქ. თბილისი, ბაქრაძის ქ. №6
						32	ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2
4	ექთნის თანაშემწე	მესამე	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090551	90	ქართული	18	ქ. თბილისი, ბაქრაძის ქ. №6
						18	ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2

5	პრაქტიკოსი ექთანი	მეხუთე	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090552	150	ქართული	14	ქ. თბილისი, ბაქრაძის ქ. №6
						32	ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2
6	მასაჟისტი	მესამე	მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090651	60	ქართული	16	ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2
7	მცირე ბიზნესის მწარმოებელი	მეხუთე	მცირე ბიზნესის მწარმოებლის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020360	120	ქართული	12	ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2
8	ფარმაცევტის თანაშემწე	მეხუთე	ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090351	120	ქართული	20	ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	პრაქტიკოსი ექთანი (1)	მეხუთე	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090552	134	164	ქართული	46	ქ. თბილისი, ბაქრაძის ქ. №6
							52	ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2
2	ბანკის მოლარე-ოპერატორი (1)	მესამე	ბანკის მოლარე-ოპერატორის	67	82	ქართული	62	ქ. თბილისი, ბაქრაძის ქ. №6

			მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020455				80	ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2
3	ფარმაცევტის თანაშემწე (1)	მეოთხე	ფარმაცევტის თანაშემწის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090351	96	126	ქართული	30	ქ. თბილისი, ბაქრაძის ქ. №6
							28	ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2
4	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი (1)	მეხუთე	ბაგა-ბაღის აღმზრდელი-პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 030254	111	141	ქართული	64	ქ. თბილისი, ბაქრაძის ქ. №6

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

გადაწყვეტილება გამოქვეყნდება ცენტრის ვებგვერდზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, 10 სამუშაო დღის ვადაში. გადაწყვეტილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

7. შპს არსში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - ნანა შარაბიძემ, ნაზო წიბლიაშვილმა და ეკატერინე პატიეშვილმა. ექპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნანა შარაბიძემ, საბჭოს წარუდგინა პრეზენტაცია ფოტომასალით. განხილვის დასაწყისში ექსპერტთა ჯგუფის

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 26 და 27 სექტემბერს. ეს იყო გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი, რომლის მიზანიც იყო ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6, მე-7 და მე-8 მუხლებით გათვალისიწინებულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება, ასევე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი ორი მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამის - „საექთნო განათლება" და „საფინანსო სერვისები" - გადამოწმება.

როგორც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, გაცემული იყო 5 რეკომენდაცია, აქედან 4 გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ, ხოლო მეხუთე - ნაწილობრივ და ეს უკანასკნელი ეხება ადაპტირებულ გარემოს.

ნანა შარაბიძის თქმით, ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები, მარეგულირებელი დოკუმენტები და მათი შესრულების მტკიცებულებები, საგანმანათლებლო პროგრამები, პროგრამის შემუშავების, განხორციელების, გაუქმების პროცედურები, სტუდენტთა სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, შეფასების და განათლების აღიარების პროცედურები; სტუდენტთა პირადი საქმეები, ხელშეკრულებები, ჩარიცხვის და კვალიფიკაციის მინიჭების აქტები. ასევე გადამოწმდა მატერიალური რესურსი-აუდიტორიები, კაბინტები, ბიბლიოთეკა, საევაკუაციო გეგმა და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. ადამიანურ რესურსთან მიმართებაში გადამოწმდა პირადი საქმეები, ხელშეკრულებები და დანიშვნის ბრძანებები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით, აღნიშნული აქტივობების განხორციელებისა და შეფასების შედეგად, გამოვლინდა ერთი ხარვეზი:

ქვესტანდარტი 1.1

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამაში აღნიშნულია, რომ „პროფესიული სტუდენტები კლინიკური მოდულების გავლისას პირადი დაცვის საშუალებების გარეშე არ დაიშვებიან. აღნიშნული საკითხის უზრუნველყოფა დარეგულირებულია კოლეჯ „არსსა" და კლინიკის/პრაქტიკის ობიექსტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით". თუმცა ხელშეკრულებებში არ იყო გათვალისწინებული ექთნის მიმართ წაყენებული მოთხოვნები და პირადი დაცვის საშუალებებით სტუდენტების უზრუნველყოფის საკითხები.

როგორც ნანა შარაბიძემ განაცხადა, ექსპერტებმა განახორციელეს ვიზიტი პრაქტიკის ობიექტზე და გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ ის მზად არის თანამშრომლობისთვის. ადგილი ჰქონდა ტექნიკურ ხარვეზს, რომლის გამოც არ იყო ხელშეკრულებაში ასახული ექთნის მიმართ წაყენებული ყველა მოთხოვნა.

ექსპერტების მიერ გაცემული იქნა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

ქვესტანდარტი 1.1

ექსპერტების აზრით, ორი მენტორი, რომლებთანაც დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 2 პრაქტიკული და 12 კლინიკური და შემაჯამებელი მოდულის განსახორციელებლად, ვერ შეძლებდა კლინიკის სხვადასხვა განყოფილებაში პროფესიული სტუდენტების სწავლების უზრუნველყოფას, რაზეც კლინიკის მენეჯმენტმა განაცხადა, რომ ვერ მოხერხდებოდა სხვადასხვა განყოფილებაში ამ ორი ექთანის მიერ პროფესიული სტუდენტების სწავლება, ხელშკრულებით აყვანილ მენტორები მხოლოდ თავიანთ განყოფილებებში შეძლებენ სტუდენტების ხელმძღვანელობას, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ განყოფილებებს, კლინიკა მზადაა განიხილოს დაწესებულებასთან დამატებითი მენტორების გამოყოფის საკითხები. მათ ასევე განაცხადეს, რომ ვერ შეძლებენ პრაქტიკული მოდულის „შინმოვლა" განხორციელებას. გაცემულ იქნა რეკომენდაცია, დაწესებულებამ აღნიშნული საკითხი დაარეგულიროს კლინიკასთან.

სასურველია, განხორციელდეს ცვლილება სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიასთან" გაფორმებულ ხელშეკრულებაში, დაფიქსირდეს „საფინანსო სერვისების" საგანმანათლებლო პროგრამის მომსახურება და ამოღებული იქნეს ხელშკრულებიდან საგანმანათლებლო პროგრამის სპეციალიზაციის კოდი რომლის საჭიროებასაც არ მოითხოვს პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშკრულება.

სასურველია, დაწესებულებამ გაწეროს პრაქტიკის გრაფიკი სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიაში" გასავლელი საათების შესაბამისად და შეიტანოს ცვლილება სასწავლო გეგმის კვირეულ ხანგრძლივობაში.

ქვესტანდარტი 1.6

სასურველია, ხარისხის შიდა უზრუნყელყოფის მექანიზმები დამტკიცდეს და განთავსდეს ვებგვერდზე

ქვესტანდარტი 2.3

სასურველია, გაიმიჯნოს ბიბლიოთეკის და სააქტო დარბაზის ფართები ან უფრო მეტი სივრცე დაუთმონ ბიბლიოთეკას, დაამატონ მკითხველთა მაგიდები და დადგან მინიმუმ ერთი კომპიუტერი და 1 პრინტერი ბიბლიოთეკის მკითხველთა საჭიროებებისთვის.

ქვესტანდარტი 2.5

სასურველია, დაწესებულების სხვადასხვა დოკუმენტებში, ასევე დაწესებულების სატიტულე ფურცელზე, ბლანკზე და ბეჭედზე მითითებული სახელწოდებები შესაბამისობაში მოვიდეს საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებულ დაწესებულების სახელწოდებასთან.

ქვესტანდარტი 3.1

სასურველია, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს ჩაემატოს პუნქტი საქართველოს ორგანული კანონის-საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრული არსებითი პირობა ზეგანაკვეთური სამუშაოს შესახებ.

ქვესტანდარტი 3.2

სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები" დამატებით მინიმუმ ერთი, დარგის პროფესიული მასწავლებლით, ვინაიდან 3 დარგობრივი პროფესიული მასწავლებლიდან კვალიფიკაცია მხოლოდ ერთს დაუდასტურდა, ხოლო ჩამნაცვლებლად

შემოთავაზებული მასწავლებლის (კვალიფიკაციით ფილოლოგის) ბანკში პროფესიული მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი არ იქნა წარმოდგენილი.

როგორც ნანა შარაბიძემ აღნიშნა, ჩამოთვლილი რეკომენდაციების დიდი ნაწილი უკვე გათვალისწინებულია.

თამარ ქიტიაშვილმა განაცხადა, რომ სასიამოვნოა, რომ დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს რიგი რეკომენდაციებისა, თუმცა მისი აზრით, ახალი სტანდარტის ამოქმედების შემდეგ დაწესებულებას მოუწევს ბევრი რამის გაუმჯობესება, განსაკუთრებით ადაპტირებისა და საქმისწარმოების კუთხით. საბჭოს თავმჯდომარის თქმით, დაწესებულებას აქვს საკმაოდ დიდი პოტენციალი, მოტივაცია და რესურსი იმისა, რომ რეალურად მოხდეს ეს გაუმჯობესება.

თავმჯდომარე დაინტერესდა, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კითხვა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს არსის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს არსის (საიდენტიფიკაციო კოდი: 216427999) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

გადაწყვეტილება გამოქვეყნდება ცენტრის ვებგვერდზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, 10 სამუშაო დღის ვადაში. გადაწყვეტილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

8. შპს არსის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 29 სექტემბრის №61 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა

ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წევრებს თხოვნით მიმართა, განეხილათ თანმდევი საკითხი გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით, კერძოდ, შპს არსის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 29

სექტემბრის №61 გადაწყვეტილებაში შესულიყო ცვლილება საექთნო საქმის საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს არსის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 29 სექტემბრის №61 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს არსის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 29 სექტემბრის №61 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	საექთნო საქმე (1)	მეხუთე დონე / საფეხური	ა) ასოცირებული ხარისხი საექთნო საქმეში (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) 0913 ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი) 090554	180	210	ქართული	42	ქ. რუსთავი, ჟ. შარტავას ქ. №4

2	ფარმაცევტის თანაშემწე (1)	მეოთხე	ფარმაცევტის თანაშემწის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090351	91	121	ქართული	30	ქ. რუსთავი, ჟ. შარტავას ქ. №4
3	ბანკის მოლარე-ოპერატორი (1)	მესამე	ბანკის მოლარე-ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020455	68	83	ქართული	30	ქ. რუსთავი, ჟ. შარტავას ქ. №4
4	სადაზღვევო აგენტი (1)	მეოთხე	სადაზღვევო აგენტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020254	87	117	ქართული	28	ქ. რუსთავი, ჟ. შარტავას ქ. №4
5	ექთნის თანაშემწე (1)	მესამე	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090551	75	90	ქართული	10	ქ. რუსთავი, ჟ. შარტავას ქ. №4

(1) აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

გადაწყვეტილება გამოქვეყნდება ცენტრის ვებგვერდზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, 10 სამუშაო დღის ვადაში. გადაწყვეტილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

9. შპს არსისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 11 დეკემბრის №191 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა

ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წევრებს თხოვნით მიმართა, განეხილათ თანმდევი საკითხი გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით, კერძოდ, შპს არსისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 11 დეკემბრის №191 გადაწყვეტილებაში შესულიყო ცვლილება საფინანსო სერვისების საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს არსისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 11 დეკემბრის №191 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს არსისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 11 დეკემბრის №191 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შპს არსს (ს/კ: 216427999) მიენიჭოს უფლება, დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა“:

აგანმანათლებლო პროგრამა

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე/საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	საფინანსო სერვისები (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში 0412	51	66	ქართული	16	ქ. რუსთავი, ჟ. შარტავას ქ. №4

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

გადაწყვეტილება გამოქვეყნდება ცენტრის ვებგვერდზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, 10 სამუშაო დღის ვადაში. გადაწყვეტილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 19:21 სთ.-ზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
თამარ ქიტიაშვილი

სხდომის მდივანი
ნანა ყუფუნია